საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ბრძანება №002-2019

საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის ხელშეწყობა

ააიპ „სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი"

ლოზანი 31

დანართი №1

საგრანტო წინადადება

1. <u>არსებული მდგომარეობა:</u>

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა.2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო დაცვით სარგებლობს 1382 პირი. შესაბამისად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მათი ინტეგრაციის საკითხი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ასევე თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირების რაოდენობაც. მათი ინტეგრაციის სისტემის ფორმირებაზე ზრუნვა ახალი გამოწვევა და აქტუალური საკითხია. ნაკადის ზრდასთან ერთად, სახელმწიფოსათვის დღის წესრიგში დგას აღნიშნულ პირთა ინტეგრაციის საკითხი. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიგრაციის მართვის სფეროში ,მათ შორის საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები აღიარებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე შიდა სახელმწიფოებრივი აქტებით. შესაბამისად ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწა და შესაბამისი მექანიზმის განვითარება საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაცია წარმოადგენს ძირითად საშუალებას პლურალისტურ საზოგადოებაში სოციალური ერთიანობის მისაღწევად, სადაც პატივისცემა და სოციალური მრავალფეროვნების წახალისება გამომდინარეობს დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომებისგან. აღსანიშნავია, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია და მოითხოვს როგორც მათი უფლებების გარანტირებასა და მიმღები საზოგადოების მზაობას, ასევე საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მხრიდან ჩართულობას. საერთაშორისო ხელშეკრულებებით თუ საქართველოს მიერ მიღებული შიდა საკანონმდებლო აქტებით აღიარებულია საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რაშიც ინტეგრაციის ხელშეწყობაც იგულისხმება. საერთაშორისო დაცვის **მქონე პირები ხშირ შემთხვევაში ქართული ენის არ ცოდნის პირობებში აწყდებიან წინააღმდეგობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისას. აღნიშნული ბარიერი და მასთან ერთად, ინფორმაციის არ ქონის ფაქტი ხელს უშლის მათ ჩაერთონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ჯანდაცვის სერვისებში. სრულყოფილად ისარგებლონ საგანმანათლებლო სისტემისა თუ შრომით ბაზრის შემოთავაზებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ეფექტური ღონისძიებების გატარება მიმღებ გარემოში ინტეგრირების პროცესის ხელშესაწყობად და ინტეგრაციის მაჩვენებლის ასამაღლებლად.**

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წარმატებული ინტეგრაცია გულისხმობს განათლების, დასაქმების, მეწარმეობის, კულტურულ თუ სხვა სფეროებზე, აღნიშნულ პირთათვის, სათანადო

ინფორმაციის მიწოდებას და მათი მოთხოვნების შესაბამისად შემდგომი დახმარების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია აქტიური სამუშაოების წარმოება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ღირსეული ინტეგრაციისთვის. კერძოდ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების შეთავაზებას, რომლებიც აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებს დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში. მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის ქართული ენის შესწავლაა, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც საზოგადოებასთან ყოველდღიური კომუნიკაციის წარმართვისათვის, ისე სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის, განათლების მიღებისა თუ დასაქმების პროცესში.

პროექტით, ასევე გათვალისწინებულია ბენეფიციარების ღირსეული დამკვიდრება მიმღებ საზოგადოებაში, რისთვისაც აუცილებელია გაეცნონ საქართველოს ისტორიას, კულტურას, ადათებს და წეს-ჩვეულებებს. ასევე, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს პროექტის ფარგლებში ეძლევათ შესაძლებლობა, საკონსულტაციო სერვისის მეშვეობით მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა თუ საბანკო სისტემის შესახებ. ასევე, ჯანდაცვასთან, განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ საკონსულტაციო სერვისის მეშვეობით საერთაშორისო დაცვის მქონე პირები ინფორმირებულნი იქნებიან მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომელიც აუცილებელია ახალ საზოგადოებრივ გარემოში დამკვიდრებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის შესაძლებლობა, რამდენადაც მათ აქვთ წვდომა ჯანდაცვის, სოციალურ, საგანმანათლებლო თუ სხვა სერვისებზე. თუმცა, დამატებითი ღონისძიებების საჭიროება იკვეთება რიგ შემთხვევებში - ვინაიდან ერთი მხრივ, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის არსებული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ყველა ასაკობრივი ჯგუფის ინტეგრაციის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი სამიზნე ჯგუფი საჭიროებს ხელშეწყობას ამ პროგრამებით სარგებლობისათვის. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს გაეწევათ საკონსულტაციო მომსახურება. საკონსულტაციო სერვისის ფარგლებში საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის **უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაცია სახელმწიფო თუ ინტეგრაციის ცენტრის პროგრამების შესახებ და შესაბამისად მოხდება სხვადასხვა პროგრამაში მათი ჩართვის ხელშეწყობა.**

**პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, ასევე საქართველოში თავშესაფრის მაძიებელისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირები. პროექტით გათვალისწინებულია 18 წელს ზევით არანაკლებ 100 პირის ჩართვა**

ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში. ამასთან, ყველა ჩამოთვლილ კატეგორიაზე ვრცელდება ქართული ენის უფასო კურსები, ხოლო საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები გავრცელდება მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მქონე პირებზე.

პროექტის ფარგლებში მათთვის გათვალისწინებულია შემდეგი სერვისების მიწოდება: ქართული ენის შესწავლა; სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსი; სოციალურ-კულტურული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება; საკონსულტაციო სერვისი.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს საშუალება ექნებათ დეტალური ინფორმაცია მიიღონ გათვალისწინებული სერვისების შესახებ.

## 2. პროექტის მიზანი:

ა) საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა ისეთი სერვისების მიწოდების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალ საცხოვრებელ გარემოში დამკვიდრების პროცესში მათ წინაშე წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევასა და გადალახვაში.
ბ) საქართველოში თავშესაფრის მაძიებელისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრირების ხელშეწყობა ქართული ენის სწავლების გზით.

## 3. პროექტის განხორციელების გზები:

პროექტის მიზნის მიღწევა მოხდება შემდეგი კომპონენტების ერთობლიობით:

1. ქართული ენის სწავლება;
2. სამოქალაქო განათლების საფუძვლების სწავლება;
3. სოციალურ-კულტურული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება;
4. საკონსულტაციო სერვისი;
5. სამიზნე ჯგუფების ინფორმირება;

ინტეგრაციის პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის, სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის ფარგლებში მოხდება ბენეფიციართა მიერ მიღებული ცოდნის შეფასება, რაც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა კრიტერიუმებთან ერთად აღნიშული კურსების ეფექტურობის ზოგად შეფასებასაც შეუწყობს ხელს.

პროექტის განხორციელების გზები, რომლებიც უკავშირდება პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას:

1. **პროექტის მოსამზადებელ ეტაპი:**

სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

- სასწავლო მასალების მომზადება;
- სასწავლო განრიგის შედგენა;
- სასწავლო სილაბუსების შინაარსის დაზუსტება გრანტის გამცემთან.

საინფორმაციო საკონსულტაციო სერვისი:

- საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსიდან გამომდინარე, მათთვის საჭირო ინფორმაციის თავმოყრა და დამუშავება შემდგომი კონსულტირების მიზნით.

**2. საგანმანათლებლო კურსების ფუნქციონირება:**

*სასწავლო კურსები დაკომპლექტდება ბენეფიციართა ასაკისა და რელიგიურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით (საჭიროების შემთხვევაში მოხდება სქესის ნიშნით დიფერენციაცია).*

**ა) საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ხელშეწყობა ქართული ენის შესწავლაში**

**ქართული ენის კურსი**

ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის ქართული ენის სწავლებას განახორციელებს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მასწავლებლის მიერ. ენის სწავლება მოხდება A1, A2 და B1 დონეებზე ბენეფიციართა საჭიროების შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში მოხდება ინტეგრაციის ცენტრში ქართული ენის სწავლების პროცესის ადმინისტრირება სასწავლო პროცესში ბენეფიციართა ჩართულობის/მოსწრების მონიტორინგის ჩათვლით, რომელსაც ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელებს სასწავლო პროცესების მართვის კოორდინატორი.

აღნიშნული კურსი, ამავდროულად, ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისათვის ქართული ენის შესწავლას საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

### ბ) სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი

მომზადდება სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის სასწავლო მოდული, რომელიც იქნება შემეცნებითი ხასიათის და მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ისტორიის და კულტურის, ძირითადი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ. აღნიშნული კურსის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა კულტურული და სოციალური თავისებურებები.

სასწავლო კურსის მიზანია, მსმენელებს გააცნოს ქართული სახელმწიფოს ტრანსფორმაცია. საქართველოს ისტორიული როლი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში. მსმენელები გაეცნობიან მნიშვნელოვან საკითხებს საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიულ–გეოგრფიულ მდებარეობას და იმ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელიც გვაძლევდა საშუალებას განვითარებისა და თავდაცვისთვის, თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრივი გადარჩენისთვის. ქართული პოლიტიკური სპექტრის ურთიერთობას აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროსთან. ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და საგარეო საკითხებს. იმ ეთნიკურ და რელიგიურ სიჭრელეს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო საქართველოსთვის დამახასიათებელი. კურსის მიზანია ფართო წარმოდგენა შეუქმნას ბენეფიციარებს ქართულ კულტურაზე შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით: ფოლკლორი, ტრადიციები, მიწათმოქმედება, კვების თავისებურებები და საკვები პროდუქტები. მტარიალური კულტურის ძეგლები: ქრისტიანული ტაძრები, სინაგოგები, მეჩეთები, რომლებიც წარმოადგენს ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს. ბენეფიციარები გაეცნობიან საქართველოს ტურისტულ მრავალფეროვანებას: ეკოტურიზმი, ჯიპტური, ღვინის ტური.

საგრანტო განაცხადის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული კურსის სილაბუსი შემუშავდება შემდეგი ლიტერატურის გათვალისწინებით:

- საქართველოს ისტორია (4 ტომეული), ავტ. ივ. ჯავახიშვილი;
- საქართველოს კულტურის ისტორია, ავტ. ს. სიგუა;
- ქართული ფოლკლორი, ავტ. ზ. კიკნაძე;
- საქართველო - ტურიზმისა და კურორტების ქვეყანა, ავტ. ნ. სააკაშვილი, თ. ჩილინგარაშვილი;
- ქართული სამზარეულო, გამომცემ. „პალიტრა L“;
- ქართული ღვინის გზამკვლევი, გამომცემ. „პალიტრა“
- სხვა შესაბამისი ლიტერატურა.

#### სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის კონცეფცია

კურსის მიზანია კულტურათაშორისი/ინტერკულტურული კომუნიკაციის დამყარება. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წარმოშობის ქვეყნის ისტორიული, კულტურული და სოციალური თავისებურებები. კულტურათა ურთიერთქმედების

პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასეულობათა, მახასიათებელთა, კულტურული აქტივობის ფორმათა შეცვლას, ახალი ორიენტირების გაჩენას.

მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში ადაპტირება ახალ კულტურულ გარემოსთან. რათა გადალახონ აკულტურაციის პროცესი, როგორც სხვადასხვა კულტურის ურთიერთ ზეგავლენის შედეგი. აკულტურაციის გავლისას ყოველი ადამიანი მიისწრაფვის, ერთი მხრივ შეინარჩუნოს თავისი კულტურული მემკვიდრეობა, ხოლო მეორე მხრივ ჩაერთოს სხვა კულტურაში.

შემეცნებითი ხასიათის სასწავლო მოდული ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ თავისებურებებს, რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებას, საგანთა და მოვლენათა აღქმასა და ინტერპრეტაციას, კვების რაციონს, ქცევის ნორმებსა და ჩაცმის წესებს. იმ ისტორიულ-კულტურულ კონტაქტებს რაც საქართველოს აკავშირებდა აღმოსავლეთის სამყაროსთან.

სასწავლო მოდული საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს გააცნობს ქართული სახელმწიფოს ტრანსფორმაციისა და განვითარების პროცესს მსოფლიო პოლიტიკურ და კულტურულ ჭრილში. მათ შორის, სხვადასხვა ეპოქაში არსებულ კავშირებს გარე სამყაროსთან, საქართველოს ეკლესიის როლს ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. ეროვნულ უმცირესობათა სამართლებრივ და რელიგიურ მდგომარეობას. ქართველთა ტოლერანტულ ბუნებას და სტუმართ-მასპინძლობის განსაკუთრებულ ჩვევებს. აღნიშნული, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს შესაძლებლობას მისცემს მარტივად ადაპტირდნენ არსებულ კულტურულ გარემოსა თუ პირობებთან. ხაზგასასმელია, რომ სწავლების პროცესში აუდიო და ვიზუალური მასალა. ზოგადად ქვეყნისა და მასში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ-კულტურული ფონის წარმოჩინება კულტურული ინტეგრირების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი იქნება.

ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის კურსის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ჯგუფები ცოდნისა და სწავლების პირობების გათვალისწინებით. კურსის ხანგრძლივობაა 3 თვე. მეცადინეობები ჩატარდება კვირაში 2-ჯერ,თითოეული ლექციის ხანგრძლივობა შეადგენს 2 საათს სასწავლო დღეები და საათები შეთანხმდება ჯგუფთან კურსების დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება მოდიფიცირება. სწავლება მოხდება თარჯიმნის ჩართულობით.[1]

**დამატებითი კურსი ნატურალიზაციის ხელშეწყობისათვის**

სასწავლო მოდულის ფარგლებში, საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი კურსი, რომელიც მორგებული იქნება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული

[1] იხ. სასწავლო სილაბუსი დანართის სახით

კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე ნატურალიზაციის პროცედურისათვის ამავე მუხლის 1 პუნქტის გ) ქვეპუნქტით მოთხოვნილ, საქართველოს ისტორიის დადგენილი ცოდნის დასაძლევად.

- განისაზღვრება ზოგადი კურსისგან დამოუკიდებელი ჯგუფები და საჭიროების შემთხვევაში კურსი შესაძლოა იყოს ინტენსიური.
- უზრუნველყოფილი იქნება მიღებული ცოდნის შემოწმებისთვის საჭირო წინასწარი ტესტირების პროცესი, რაც ასევე გაუადვილებს ბენეფიციარს შეეჩვიოს საგამოცდო გარემოს.

## გ) სამოქალაქო განათლების კურსი

სამოქალაქო განათლების კურსის მიზანია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს ჰქონდეთ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო სერვისების, საბანკო სისტემის, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე და ა.შ. ასევე, სასწავლო კურსის თემატიკა ითვალისწინებს ყველა მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ახალ საცხოვრებელ გარემოსა და საზოგადოებრივ აქტივობასთან.
ასევე გათვალისწინებული იქნება, ეროვნული სამართლის სპეციალური კურსის ფორმირების საკითხი საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისათვის, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით და შესაბამისად მოეთხოვებათ სამართლის ძირითადი პრინციპების დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

### *სამოქალაქო განათლების კურსის კონცეფცია*

სამოქალაქო განათლების კურსის კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში იმ საკითხებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ყოველდღიური ცხოვრების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური სფეროს შესახებ და სხვა. ასევე, ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარები გაეცნობიან ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ. აღნიშნული კუსრსის სასწავლო მოდული შემუშავდება შემდეგი სამართლებრივ აქტებით გათვალისწინებული თემატიკით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;
- მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ასევე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (მათ შორის განათლების მიღების, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხებში).

სამოქალაქო განათლების სწავლების კურსის მოდული ითვალისწინებს ინტერაქტიულ მეთოდს.

ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის კურსის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ჯგუფები ცოდნისა და სწავლების პირობების გათვალისწინებით. კურსის ხანგრძლივობაა 3 თვე. მეცადინეობები ჩატარდება კვირაში 2-ჯერ,სულ. სასწავლო დღეები და საათები შეთანხმდება ჯგუფთან კურსების დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება მოდიფიცირება. სწავლება მოხდება თარჯიმნის ჩართულობით.

**დამატებითი კურსი ნატურალიზაციის ხელშეწყობისათვის**

სასწავლო მოდულის ფარგლებში, საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი კურსი, რომელიც მორგებული იქნება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე ნატურალიზაციის პროცედურისათვის ამავე მუხლის 1 პუნქტის გ) ქვეპუნქტით მოთხოვნილ, სამართლის ძირითადი პრინციპების დადგენილი ცოდნის დასაძლევად.

- განისაზღვრება ზოგადი კურსისგან დამოუკიდებელი ჯგუფები და საჭიროების შემთხვევაში კურსი შესაძლოა იყოს ინტენსიური.
- უზრუნველყოფილი იქნება მიღებული ცოდნის შემოწმებისთვის საჭირო წინასწარი ტესტირების პროცესი, რაც ასევე გაუადვილებს ბენეფიციარს შეეჩვიოს საგამოცდო გარემოს.

3. საკონსულტაციო სერვისი

საკონსულტაციო სერვისის ჩამოყალიბების მიზანია საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის თავიანთი უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და ამის გათვალისწინებით უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

საკონსულტაციო სერვისის საშუალებით ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ მაქსიმალურად მცირე დროში მიიღონ საჭირო ინფორმაცია და გაეწიოთ დახმარება სხვადასხვა სახელმწიფო სერვისით სარგებლობის პროცესში, მათ შორის შესაძლო ბარიერების გადალახვაში. ასევე, ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და პროცედურული საკითხების გავლაში შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლება (სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი)** - ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება განათლების მიღების კუთხით მათ უფლებებსა და შესაძლებლობებზე. ასევე, დახმარება საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევასა და კომუნიკაციის წარმოებაში, როგორც სასწავლო დაწესებულებასთან, ისე სახელმწიფო უწყებებთან. დახმარების გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრაციის პროცესში, შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიებასა და მომზადებაში.საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
- **ჯანდაცვა** - სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებულ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მოძიება, საჭიროების შემთხვევაში, როგორც მათთან ასევე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის წარმართვა. ასევე, დოკუმენტაციის მოძიებასა და მომზადებაში დახმარება. საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- **სოციალური დაცვა** - სახელმწიფო თუ მუნიციპალურ დონეზე არსებულ სოციალურ პროგრამებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და პროგრამაში ჩასართავად შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის წარმართვა; ასევე საჭირო დოკუმენტაციის მოძიებასა და მომზადებაში დახმარება; საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- **დასაქმება** - ინფორმირება დასაქმების ხელშეწყობის იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებიც ვრცელდება სამიზნე ჯგუფზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურების გავლაში დახმარება; დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ბენეფიციართა კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამისი ვაკანტური სამუშაო ადგილების მოძიება; აღნიშნულის მისაღწევად თანამშრომლობა დამსაქმებელთა ასოციაციასა და სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომელთაგან მივიღებთ განახლებულ ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით და მივაწოდებთ ინფორმაციას შესაბამისი

ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ბენეფიციართათვის. ბენეფიციართა მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში მათ გაეწევათ დახმარება რეზიუმეს, სამოტივაციო წერილის შედგენასა და გასაუბრებისთვის მომზადებაში; ორგანიზაცია ჩართული იქნება დამსაქმებელთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, **შრომითი ექსპლუატაციის რისკების თავიდან აცილების მიზნით**; საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

- **გადაადგილება -** ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გადაადგილების საშუალებებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ასევე სავიზო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და სხვა;
- **ნატურალიზაცია** - ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობების, ვადებისა და პროცედურების შესახებ; ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მისაღებად დადგენილი გამოცდების გავლა შესაძლებელი იქნება პროექტის ფარგლებში შესაბამისი საგანმანათლებლო კურსებში ჩართვით;
- **სახელმწიფო სტრუქტურებთან და სასამართლოსთან ხელმისაწვდომობა -** საჭიროების შემთხვევაში, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სტრუქტურის კომპეტენციის შესახებ, რის შედეგადაც ბენეფიციარებს გაუადვილდებათ მათი უფლებების რეალიზაციის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა; ინფორმაციის მიწოდება სასამართლო პროცედურებთან დაკავშირებით;

. **განსახლება** - საჭიროების შემთხევაში მუნიციპალიტეტებთან კომუნიკაციის წარმოება განსახლების შესაძლებლობების შესახებ; საჭიროების შემთხვეაში ინფორმაციის მიწოდება კონკრეტულ რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობების შესახებ; ასევე, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება კონკრეტულ რეგიონში არსებული უძრავი ქონების სააგენტოების შესახებ;

. **სამეწარმეო/ბიზნეს საქმიანობა -** საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება საბანკო სერვისების შესახებ; ასევე მეწარმეობისა და ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ; ასევე საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურული საკითხების გავლაში დახმარება;

- ყველა სხვა საკითხი, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღება საჭიროა საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის საქართველოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

საკონსულტაციო სერვისის მიწოდების პროცესში საჭიროებისამებრ მოხდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თუ დაწესებულებებთან კომუნიკაცია.

პროექტის დაწყების შემდგომ, მოხდება ბენეფიციართა სტატუსიდან გამომდინარე საჭირო ინფორმაციის თავმოყრა და დამუშავება შემდგომი კონსულტირების მიზნით, რომლის შინაარსიც შეთანხმდება გრანტის გამცემთან.

საკონსულტაციო სერვისის გამართული ფუნქციონირებისათვის შემუშავდა კონცეფცია[2], საკონსულტაციო სერვისის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს პირი, რომელსაც აქვს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან კონსულტაციის გაწევის გამოცდილება, მათ შორის ისეთ რთულ და მოწყვლად კატეგორიასთან, როგორიცაა არალეგალურად ემიგრაციაში მყოფი მიგრანტები.

საკონსულტაციო სერვისი იმუშავებს კვირაში ორი დღე. კონსულტაციები გაიმართება როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. ამასთანავე, მიზნობრივ ჯგუფს კონსულტაციების მიღება შეეძლება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ტელეფონით.

*საკონსულტაციო სერვისის შექმნისა და სამიზნე ჯგუფების ინფორმირების ერთიანი კონცეფცია*

***საკონსულტაციო სერვისის საშუალებით ბენეფიციარებს ხელი უნდა შევუწყოთ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებით სარგებლობაში, რაც მათი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების მნიშვნელოვანი მექანიზმია. ამასთან სამიზნე ჯგუფის ინფორმირებისათვის საჭიროა ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენება.***

*კონცეფციის მიზანია კონსულტირებისა და ინფორმაციის მიწოდების სამიზნე ჯგუფის მასშტაბით ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უახლესი და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფას სწრაფად ცვალებადი გარემოს კვალდაკვალ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საკონსულტაციო სერვისის მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიანობის შემდეგ პრინციპებს:*

*ა) პიროვნებაზე ცენტრირება:*

- ✓ *კონსულტაცია ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი სისტემატური და პროგრესულია;*
- ✓ *კონსულტაცია ეფექტიანია, თუკი ის მნიშვნელოვნად განაპირობებს ბენეფიციარების ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და პრაქტიკას;*
- ✓ *კონსულტაცია ეფექტიანია, თუ კი ის ითვალისწინებს ადამიანების ინდივიდუალურ განსხვავებულობას და მომსახურება მორგებულია მათ საჭიროებებზე.*

*ბ) სწავლისა და ინფორმირებულობის ხელშეწყობა:*

- ✓ *კონსულტაცია არ ნიშნავს ერთჯერად ჩარევას. ის ეფექტიანია, როდესაც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ ინტერვენციულ ღონისძიებებს;*
- ✓ *კონსულტაციის მთავარი მიზანი უნდა იყოს ბენეფიციარების სწორი, დროული და კვალიფიციური ინფორმირება;*

---

[2] საკონსულტაციო სერვისის შექმნისა და სამიზნე ჯგუფების ინფორმირების ერთიანი კონცეფცია თან ერთვის პროექტს

გ) ხარისხის უზრუნველყოფა:

- ✓ პროცესის წარმატებას ცალსახად განსაზღვრავს იმ სპეციალისტთა პროფესიონალიზმი, უნარები და განწყობები, რომლებიც პროფესიულ კონსულტირებას ახორციელებენ;
- ✓ კონსულტაციის წარმატება დამოკიდებულია დროულ, ხელმისაწვდომ, ხარისხიან ინფორმაციაზე;

ხარისხის მაქიმალური დონის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ბენეფიციართაგან მიღებული უკუკავშირი როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური.

**ძირითადი ამოცანები:**

კონცეფციის მიზანი უშუალოდ მიუთითებს, რომ კონსულტაცია/ მომსახურება მორგებული უნდა იყოს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა განათლების და ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ადამიანების საჭიროებებზე. ამასთანავე, უნდა ითვალისწინებდეს მოწყვლადი ჯგუფების მოთხოვნილებებს.

**ამოცანა 1. ბენეფიციარების ინფორმირება სამიზნე ჯგუფისათვის გათვალისწინებული სერვისების შესახებ**

უნდა მოხდეს ბენეფიციართა ინფორმირება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. საჭიროა პასუხისმგებელმა პირმა საკუთარი ბენეფიციარების ინფორმირების მიზნით გამოიყენოს მასშტაბური საინფორმაციო საშუალებები და დაგეგმოს საორგანიზაციო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა მხრიდან ინტერესის გაზრდას, კონსულტირების აუცილებლობის გაცნობიერებას, ამ მომსახურების ხელმისაწვდომობის გააზრებას და პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას. ცალსახად მნიშვნელოვანია ბენეფიციარების მიერ კონსულტაციისას სამოქალაქო განათლების საჭიროების გაცნობიერება, რათა მოხდეს შეთავაზებული სერვისების ათვისება და შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევის მიზნობრიობა.

**ამოცანა 2. მომსახურების თანხვედრა სამიზნე ჯგუფის საჭიროებებთან და ინტერესებთან**

მომსახურება უნდა გულისხმობდეს ბენეფიციართა მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს როგორც მათ ინფორომირებას სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის შესახებ, ასევე სერვისით სარგებლობისათვის შესაბამისი პროცედურების განსაზღვრასა და დაგეგმვას. აღნიშნული განხორციელდება როგორც პირდაპირი ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გზით, ისე დისტანციურ რეჟიმში.

**კონსულტირების მომსახურების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ამოცანების შესრულება შემდეგი გზებით არის შესაძლებელი:**

- ✓ სისტემის მართვა და კოორდინაცია;

- ✓ *შიდა კომუნიკაცია - კომუნიკაცია პროექტის განმახორციელებელ პირებთან*
- ✓ *გარე კომუნიკაცია - კომუნიკაცია გრანტის გამცემთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან;*

*შესრულებული სამუშაოების შეფასება როგორც პროცესში მიღწეულ პროგრესზე, ისე ბენეფიციართა მხრიდან უკუკავშირზე დაყრდნობით (* ***არაფორმალურად****, თავისთავად წამოსული უკუკავშირი ბენეფიციართაგან,* ***ფორმალურად*** *- გამოკითხვის მეშვეობით).*

სამიზნე ჯგუფის ინფორმირება

ინტეგრაციის ცენტრის მიერ შეთავაზებული პროექტებისა თუ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით, გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებები: სოციალური ქსელები, სატელეფონო კომუნიკაცია, პირისპირ შეხვედრები. ასევე ორგანიზაცია საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის საჭიროებებიდან გამომდინარე გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს , რომელზეც მათ როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად მიეწოდებათ ინფორმაცია.

4. <u>პროექტის რისკები</u>

*მოსალოდნელი რისკები*

1. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკ ფაქტორად შესაძლოა ჩაითვალოს, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მხრიდან, ინტერესის არ ქონა ან/და ნაკლები ინტერესი პროექტში ჩართულობის თვალსაზრისით, რამაც შესაძლოა გავლენა (უარყოფითი) იქონიოს პროექტის შედეგის მიღწევაზე (პროექტში 100 ბენეფიციარის ჩართვა).

2. რელიგიურ-კულტურული ფონი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების ჩართულობაზე სქესის ნიშნის მიხედვით.

3. ბენეფიციარების მხრიდან ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლო უარყოფა მათი რელიგიურ-კულტურული მახასიათებლების განსხვავების გამო.

4. ქართული ენის აღქმის კოეფიციენტის დაბალი დონე, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მსმენელის სასწავლო კურსის ფარგლებში ჩართულობასა და აქტიურობაზე.

*რისკის მართვა*

1. პროექტის ფარგლებში არსებული მიმართულებების და დაგეგმილი ღონისძიებების მრავალფეროვნება, კრეატიულობა, მასალების ხელმისაწვდომობა, როგორც პირდაპირი ასევე ირიბი ბენეფიციარებისათვის; ასევე ორგანიზაციის თანამშრომლებისა და ყველა არსებული რესურსის გამოყენებით, ინფორმაციის სწორად გავრცელების კუთხით ჩატარებული სამუშაოები, უზრუნველყოფს პროექტში მონაწილეთა სიმრავლესა და მათი ინტერესის მაღალ დონეს. აღნიშნული რისკის შემცირების პროცესში აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა და კომუნიკაცია გრანტის გამცემთან.
2. პროგრამის ფარგლებში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის რელიგიურ-კულტურული თავისებურებები და ტრადიციები. აქედან გამომდინარე, სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტება შეიძლება მოხდეს განსხვავებული სქესის წარმომადგენლებისთვის ცალ-ცალკე.
3. ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლების მხრიდან მაქსიმალურად დაცული იქნება ქცევის წესები, ეთიკისა და ესთეტიკის ნორმები ბენეფიციარებთან კომუნიკაციის პროცესში მათი ნდობის და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.
4. სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო განათლების კურსების სწავლების პროცესში თარჯიმნის ჩართულობა მინიმუმამდე შეამცირებს ინფორმაციის აღქმის შესაძლო სირთულეებს.

5. <u>ბიუჯეტი:</u>

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს. ბიუჯეტის დეტალიზებული ვერსია წარმოდგენილია დანართის N3 სახით.

## 6. პროექტის მოსალოდნელი შედეგები მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში:

პროექტის წარმატებით განხორციელების შედეგად მოკლევადიან პერსპექტივაში ბენეფიციარებს:

- ეცოდინებათ ქართული ენა, რათა ადგილობრივ მოსახლეობასთან მარტივად დაამყარონ კომუნიკაცია.
- ექნებათ ინფორმაცია მათი უფლებრივი მდგომარეობისა და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესახებ.
- შეისწავლიან საქართველოს ისტორიის ძირითად მოვლენებსა და კულტურის ზოგად მახასიათებლებს.
- მიიღებენ სასურველ ინფორმაცია მოკლე დროში და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, გაეწევათ დახმარება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში პროცედურების გასავლელად.

ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირებისა და შესაბამისი სერვისების განვითარების გრძელვადიანი შედეგი იქნება ინტეგრაციის პროცესისათვის რეალური საფუძვლის შექმნით საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისათვის მიმღებ საზოგადოებაში დამკვიდრების პროცესის დაჩქარება და გამარტივება. ინტეგრაციის ცენტრის მეშვეობით მიღებული სერვისები გრძელვადიან პერსპექტივაში გაუმარტივებს ბენეფიციარებს უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას.
აღნიშნული მნიშვნელოვანი იქნება როგორც სამიზნე ჯგუფისათვის, ისე მიმღები საზოგადოებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი სოციალურ-ეკონომიკური გაუცხოვება, საზოგადოებრივი მარგინალიზაცია და მასთან დაკავშირებული რისკები.
ცენტრი გახდება დანიშნულების ადგილი, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხით მომართვისა და ადგილზე თუ რეფერალური დახმარების მიღებისა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, მოცემული პროგრამის შედეგად, მოხდება ინტეგრაციის ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების მიმართულების შექმნა და მისი მნიშვნელობის ზრდა.

## 7. შეფასება:

პროექტის წარმატება შეფასდება გაწეული მომსახურების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მაჩვენებლებით.

- ინტეგრაციის ცენტრის საგანმანათლებლო კურსებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა (არანაკლებ 100);
- საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა (არანაკლებ 50);
- კურსებში ჩართული ბენეფიციარების დასწრების საშუალო მაჩვენებელი (მინიმუმ 60%);
- ბენეფიციართა მიერ გავლილი კურსების შედეგად მიღებული ცოდნის საშუალო მაჩვენებელი (მინიმუმ 50%);
- ბენეფიციართა კმაყოფილების დონის შეფასება;

8. <u>ორგანიზაციის გამოცდილება:</u>

საზოგადოებრივი დამცველი დაფუძნდა 2011 წლის 22 მარტს. ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებია ადამიანის უფლებების დაცვა და საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
საზოგადოებრივი დამცველს 2011 წლიდან დღემდე საქმიანობები განხორციელებული აქვს შემდეგი მიმართულებით და თემატიკით: შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგი, ტრენინგები დამკვირვებლებისათვის, კონფლიქტით დაზარალებულ დევნილთა, სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია, არჩევნებზე დაკვირვება, სამედიცინო პერსონალის შრომითი უფლებები, დევნილთა და ეროვნული უმცირესობების საინფორმაციო /საგანმანათლებლო პროგრამები და სხვა.
2017 წელს საზოგადოებრივმა დამცველმა განახორციელა „საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის“, პროგრამა, რომლის ფარგლებში ინტეგრაციის ცენტრს მომართა 135 საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა, საიდანაც 86 ბენეფიციარი (ქალი-26, კაცი-60), ორ ნაკადად, ჩაერთო ქართული ენის შემსწავლელ (A1 და A2 დონე), სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბების კურსებში.
2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ქართული ენის სწავლება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით უზრუნველყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, საზოგადოებრივ დამცველთან პარტნიორობით. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის განხორცილების შედეგად ორგანიზაციამ დააგროვა მნიშვნელოვანი გამოცდილება საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე. უშუალოდ, მუშაობის პროცესში გაეცნო მათ საჭიროებებსა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. ასევე, 2017 წლის 1 სექტემბრიდან -2017 წლის 31 დეკემბრამდე საზოგადოებრივმა დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNCHR) ოფისის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაციის ხელშემწყობი რიგი ღონისძიებების განხორციელებას. პროექტმა სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, გააფართოვა ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების კუთხით ორგანიზაციის გამოცდილება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი გაგრძელდა 1 წლის ვადით და 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საზოგადოებრივი დამცველი კვლავ განახორციელებს პროექტით გათვალისწინებულ ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. .

ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, მოქალაქეთა ინტერესებს იცავს როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე, კერძოდ აწარმოებს და ასევე მოგებული აქვს საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში;

ორგანიზაციის წარმომადგენლები 2014 წელს შეხვდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სამმართლებრივი დახმარების გასაწევად. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა კოალიციური პროექტის ფარგლებში (OSGF).

საზოგადოებრივი დამცველი 2011 წლიდან მონაწილეობს არჩევნების თემაზე შექმნილ სხვადასხვა ჯგუფებში, კერძოდ: ტექნიკური მუშა ჯგუფი (TWG), უწყებათაშორისი კომისია, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი, ინტერპარტიული ჯგუფი და სხვ. 2011 წლიდან საზოგადოებრივი დამცველი აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრია,2013-2016 წლებში იყო, ამავე პლატფორმის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის 1 ჯგუფის კოორდინატორი და საბჭოს წევრი.

ორგანიზაციას აქვს ამომრჩეველთა საინფორმაციო/საგანმანათლებლო, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისა და სადამკვირვებლო მისიის მრავალწლიანი გამოცდილება.

2016 წელს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 7 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა(მათ შორის საზოგადოებრივი დამცველი) და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

*ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები:*

1. 2018-2019 წლები საქართველოში საერთაშორსიო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა, პროექტი ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და UNCHR ფინანსური მხარდაჭერით.

2. 2018-2020 წლები „არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებით მათი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე“(EU ფინანსური მხარდაჭერა)

3. 2018-2019 წლები „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამა ( თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

4. 2016-2017 წლები „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამა ( თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.
5. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვება შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და თბილისის დევნილთა ჩასახლებებში და კონფლიქტისპირა სოფლებში“ - - ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით**(OSGF);**
